



№ 011262/31

12/07/2021

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდის საჩივრის
განუხილველად დატოვების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ - პრეზიდიუმი) შემდეგი
შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი - გენერალური აუდიტორი;
2. ეკატერინე ლაზაძე - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. დავით გოგიჩაიშვილი - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. სოფიო დვალიშვილი - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. ზაზა შეყილაძე - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. ზაზა გელაშვილი - შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. გიორგი კეკელიშვილი - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. ნოე ქაშიბაძე - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
9. ნატო ზაალიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
10. თორნიკე შერმადინი - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
11. ალექსანდრე გოგოლაშვილი - აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
12. გიორგი კაპანაძე - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
13. კახაბერ კირტავა - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
14. ვაჟა ბრაგვაძე - ადმინისტრაციის უფროსი.

საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდი.

დავის საგანი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 19 მაისს დამტკიცებული „თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის შესახებ“ N31/36 აუდიტის ანგარიში.

I

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2021 წლის 16 ივნისს საჩივრით (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N5020/29) მიმართა ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის დირექტორმა ლევან ჯღარკავამ, „თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის შესახებ“ 2021 წლის 19 მაისის N31/36 აუდიტის ანგარიშის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

პრეზიდენტის 2021 წლის 21 ივნისის N006537/30 სხდომის საოქმო ჩანაწერის შესაბამისად, საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადის ნაწილში და მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორმა, პრეზიდენტის მიერ მოსაზრებების წარმოსადგენად განსაზღვრულ ვადაში, წარმოადგინა თავისი წერილობითი პოზიცია (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N11130/01; 06.07.2021) აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადის გაშვებასთან დაკავშირებით.

II

სამოტივაციო ნაწილი:

პრეზიდენტში, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ განუხილველად უნდა დარჩეს ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის 2021 წლის 16 ივნისის საჩივარი (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N5020/29), შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის თანახმად, აუდიტის ობიექტები უფლებამოსილი არიან, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდმა აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივარი წარმოადგინა მიმდინარე წლის 16 ივნისს. უწყებათაშორისი დოკუმენტბრუნვის სისტემის – Interflow-ს მონაცემებით, აუდიტის ობიექტს აუდიტის ანგარიში ჩაბარდა 2021 წლის 21 მაისს, თუმცა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, აუდიტის ობიექტს აუდიტის ანგარიში ჩაბარდა მიმდინარე წლის 24 მაისს.

პრეზიდენტში მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის მიერ აუდიტის ანგარიშის ჩაბარებასთან დაკავშირებით აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღების შემთხვევაშიც გაშვებულია აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. კერძოდ, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადა იწურებოდა მიმდინარე წლის 14 ივნისს, საჩივარი კი წარმოდგენილია მიმდინარე წლის 16 ივნისს.

ამასთანავე, პრეზიდენტში აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და დოკუმენტი ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილის SARS-Cov-2 ანტიგენის სწრაფი ტესტის დადებითი პასუხის შესახებ ვერ ქმნის იმ გარემოების მტკიცების საფუძველს, რომ ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით. კერძოდ:

წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისად, ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილეს, რომელსაც ფონდის დირექტორის განმარტებით ევალებოდა საჩივრის მომზადების კოორდინირება, კორონავირუსი (COVID-19) დაუდასტურდა მიმდინარე წლის 29 მაისს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ფონდის დირექტორის მოადგილე სხვა თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა 12-დღიან თვითიზოლაციაში, რამაც ხელი შეუშალა საჩივარი წარმოედგინათ ვადაში.

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არ დასტურდება საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ თვითიზოლაციის პერიოდში ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის მიერ საქმიანობის ფაქტობრივად შეჩერება, მათ შორის, სამუშაოს დისტანციურად შესრულების შეუძლებლობა. საგულისხმოა ისიც, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული თვითიზოლაციის პერიოდი ამოიწურა მიმდინარე წლის 10 ივნისს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გასული აუდიტის ანგარიშის კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა (ვადა იწურებოდა მიმდინარე წლის 14 ივნისს), თუმცა ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის არ მოუმართავს წერილობით დასაბუთებული საჩივრის წარმოსადგენად დამატებითი ვადის განსაზღვრის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ აშკარაა ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

III

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლით, 27-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით,

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის 2021 წლის 16 ივნისის საჩივარი (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N5020/29) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 19 მაისს დამტკიცებული „თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის შესახებ“ N31/36 აუდიტის ანგარიშის ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველი.
2. გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი



ეკატერინე ღაზაძე
გენერალური აუდიტორის მოადგილე



დავით გოგიჩაიშვილი
გენერალური აუდიტორის მოადგილე



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
დვალისხილი სოფიო



ზაზა შეყილაძე

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი




სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა გელაშვილი



გიორგი კეკელიშვილი

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ნოე ქაშიბაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ნატო ზაალიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



თორნიკე შერმადინი

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ალექსანდრე გოგოლაშვილი

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / აუდიტის

დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
კახაბერ კირტავა



ვაჟა ბრაგვაძე
ადმინისტრაციის უფროსი

